საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1022

ქ. თბილისი „27" „07" 2007წ.

## შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24 მუხლის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის, 1 სექტემბრის №154 დადგენილებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულების მე-3 მუხლის, პუნქტი 1, ი) ქვეპუნქტის საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა – გარდაბანი-ნავთლუღის მაგისტრალური გაზსადენის 30კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაციაზე;
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
3. ნებართვა გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

*საფუძველი:* სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №20; 20.07.07წ. და ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსის გიორგი ცხაკაიას მოხსენებითი ბარათი

დავით ტყეშელაშვილი
მინისტრი

*ეგზავნება:* ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს, გარემოს დაცვის ინსპექციას, ნებართვის მიმღებ სუბიექტს



საქართველოს გარემოს დაცვისა
და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

# გარემოზე ზემოქმედების ნებართვა № 00081

კოდი M D 1 „ 30 “ „ ივლისი “ 2007 წ.

| | |
|---|---|
| 1. ნებართვის მიმღები სუბიექტი | შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" |
| 2. საქმიანობის მიზანი | გარდაბანი-ნავთლუღის მაგისტ. გაზსადენის 30კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტ. |
| 3. განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა | გარდაბნისა და ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონები |
| 4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია | სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამა" |
| 5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია | გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში |
| 6. ნებართვის გაცემის საფუძველი | სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე №20; 20.07.07. |
| 7. ნებართვის პირობები | ნებართვა მოქმედებს სახ. ეკოლოგიური ექსპ. დასკვნით გათვალისწ. პირობების შესრ. პირობით |

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი (გვარი, სახელი, თანამდებობა)

ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ცხაკაია

დამკვეთი: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „ფინანსები"
„ს.ფ.ს" რეგისტრაციის №2-0360